

ბეჭა წილურია

ქართული ლიტერატურა: კოლონიზაცია, მოდერნიზაცია, ახალი პარადიგმები

XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე საქართველოს სინამდვილეს, და საკუთრივ ლიტერატურულ სინამდვილესაც, აერთიანებს სამოდელო ხასიათის, მდგრადი, მკვეთრად გამოხატული პარადიგმული ნიშნები, რომლებიც განაპირობებს ამ ისტორიული და კულტურული პერიოდის მთლიანობას და, შესაბამისად, ლიტერატურულ-კულტურული პროცესების ერთიანობაში კვლევის აუცილებლობას. ეს ნიშნებია: მოდერნულობა (ამ ტერმინის პოსტ-მედიევალური გაგებით), აღმოსავლური ქვეყნების პოლიტიკური და, შესაბამისად, კულტურული გავლენების დასასრული, რუსული კოლონიზატორული გავლენა (სხვადასხვა ფორმით – საკუთრივ კოლონიურ და პოსტკოლონიურ პერიოდშიც), ევროპული კულტურისადმი ინტერესი და, გარკვეულ ეტაპებზე, დასავლეურ კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ნათლად გამოხატული მიზანი, დასავლური პოლიტიკური და კულტურული სივრცის აღქმა რუსული გავლენისგან განთავისუფლების პერსპექტივად, სახელმწიფოებრივი თავისუფლების იდეის მოქცევა საზოგადოებრივ ლირებულებათა სათავეში, კულტურის და, განსაკუთრებით, საზოგადოების წიგნიერების ზრდის, ბეჭდური სიტყვის წეალობით ლიტერატურის საერთო საზოგადოებრივი გავლენის გაძლიერება და თავად ერთიანი, მოდერნული ტიპის სოციალური სივრცის ჩამოყალიბება, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ნარატივების განსაკუთრებული როლი სოციოკულტურულ სივრცეში. ნიშანდობლივია, რომ ეს თითქმის ყველა ნიშანი ერთდროულად და ურთიერთდაკავშირებულად ჩნდება სწორედ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ისტორიის გარდამტებ ნიშნულზე.

გასული ორი საუკუნის ძირითადი კულტურულ-სოციალური ნიშნები უნივერსალურია და თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მიმართულებას გვიჩვენებს. მეორე მხრივ, საქართველოს კოლონიზაციასთან და შესამაგის რეზისტრაციასთან, განთავისუფლებისა და თვითიდენტიფიკაციის მისწარაფებასთან დაკავშირებული ნიშნები სპეციფიკურია, თუმცა მათი აღქმა საერთაშორისო კონტექსტში დაგვანახვებს, რომ საქართველოს ვითარება თანხვდება იმ კანონზომიერებას რომელიც წარმოჩნდება XX საუკუნის მსოფლიო დეკოლონიზაციის პროცესში სხვადასხვა ქვეყნებისა თუ რეგიონების კოლონიური გამოცდილების გააზრებისას¹.

მთელი კოლონიური პერიოდის მანძილზე ქართული ლიტერატურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისიაზე დაფუძნებული, ნაციონალურ მისიაზე ორიენტირებული მოვლენა. ნაციონალურ მისიაზე ორიენტირებული პროცესები კოლონიურ საქართველოში უპირატესად მხატვრული აზროვნების სფეროში, მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმით ვითარდებოდა. პირდაპირი ანალიტიკური ფორმით (სალიტერატურო კრიტიკისა და ლიტერატურის მცოდნეობის, აუბლიცისტიკის, ფილოსოფიის თუ სოციოლოგის ენაზე) მათი გააზრება და გამოსახვა, განსაკუთრებით საბჭოურ პერიოდში, შესაძლებელი არ იყო. შესაბამისად, სწორედ ლიტერატურული მასალა წარმოაჩენს კოლონიური ვითარებისადმი რეზისტენტობის ან, პირიქით, მისდამი მორჩილების პროცესებს, და ამ პროცესების თანაარსებობას კოლონიური პერიოდის საქართველოში. ამ თვალსაზრისით ქართული ლიტერატურა მოექცევა პოსტკოლონიალიზმის თეორიულ კონტექსტში. პოსტკოლონიალიზმი, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი დომინანტური ანალიტიკური დისკურსი, განსაზღვრავს იმ მიდგომებს, რომელთა ფარგლებშიც ხდება იმ ქვეყნების კულტურული, და საკუთრივ ლიტერატურული, სოციალური, პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლა, რომელთაც გამოიარეს კოლონიური პერიოდი კოლონიისა თუ კოლონიზატორის სახით. მიშელ ფუკოდან მოყოლებული, პოსტკოლონიალიზმი განიხილება, როგორც კოლონიზებული საზოგადოებების ცოდნის სისტემა. პოსტკოლონიალიზმი შეისწავლის კოლონიურ ვითარებაში მყოფი ქვეყნის რეზისტენტობის ისტორიას და იმ სოციოკულტურულ დილემებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდება ქვეყანა პოსტკოლონიურ პერიოდში. ამ პერიოდშივე უნდა წარიმართოს წარსულის გადააზრებისა და ახალი სიტუაციის გააზრების პროცესი, რაც კოლონიური ცნობიერების და, შესაბამისად, პოსტკოლონიური სტატუსის დაძლევის წინაპირობაა.

XX საუკუნე მსოფლიოში კოლონიალიზმის დასრულების ეპოქად გამოცხადდა. შესაბამისად, უკანასკნელ ათწლეულებში სხვადასხვა ქვეყნებისა თუ რეგიონების კულტურულ-ისტორიული პროცესების გაცნობიერება პოსტკოლონიალიზმის თეორიის საფუძველზე მიმდინარეობს. მსოფლიოს გეოპოლიტიკური და კულტურული პროცესების ფონზე პოსტკოლონიალური დისკურსის საზღვრები ფართოვდება. თეორია, რომელიც ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიის ქვეყნებისა და რეგიონების და, მათთან მიმართებაში, ევროპული ქვეყნების ისტორიულ-კულტურული პროცესების კვლევის საფუძველზე განვითარდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ადაპტირებადი გახდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართაც.² ნათელი ხდება, რომ საქართველოშიც კოლონიური გამოცდილებისა და შესაბამისი ლიტერატურული/კულტურული მასალის გადააზრების გარეშე სოციოკულტურული წარმოდგენების დონეზე შეიძლება კვლავაც შენარჩუნდეს იქნას კოლონიური კონტექსტი, რაც ბარიერი იქნება დანარჩენი მსოფლიოს მიმართ კულტურული გახსნილობის გზაზე.

კოლონიურ გავლენასთან რეზისტრობისა და ნაციონალური იდენტობის განვითარების მისით გასული ორი საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მთელი იქმნება კულტურული სისტემა, რომელიც გარკვეულ ცვალებადობას, ცხადია, განიცდის, მაგრამ ინარჩუნებს სისტემურ მთლიანობას იდეური ორიენტაციის, ესთეტიკური პოზიციის, გამომსახველობითი ფორმების მხრივ. ნაციონალურ იდეაზე ორიენტაცია და ამ იდეის რეპრეზენტაცია ორსაუკუნოვანი კოლონიური პერიოდის ქართული ლიტერატურის გამჭოლი მიმართულებაა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გარეიმპერიული გავლენით არის განპირობებული, თავისთავად ინტერნალური ხასიათისაა, ამ გავლენის დაძლევას ისახავს მიზნად, შიდა კულტურულ-ისტორიული რეალობით არის განპირობებული და მასზეა მიმართული.

ამავე ისტორიულ პერიოდში მიმდინარეობს საქართველოში ექსტერნალური ხასიათის, დასავლურ კულტურულ სივრცეზე ორიენტირებული, საკუთრივ კულტურული მიზანდასახულების პროცესები. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველ რომანტიკოსთა თაობის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ვლინდება ევროპული მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური ტენდენციები, დასავლური კოფითი და კულტურული რეალობისადმი ინტერესი. ამ სახით ქართულ ლიტერატურაში/კულტურაში მზადდება პირველი მოდერნული, დასავლური ორიენტაციის კულტურული პარადიგმა, თუმცა საგულისხმოა, რომ ის ვლინდება ელიტარულ დონეზე და, რეალურად, მისი გაცნობიერება, თეორეტიზაციაც და მასობრივი ათვისებაც მოხდება არა სინქრონულად, არამედ შემდგომ სამოციანელების, და მომდევნო თაობების მიერ. სწორედ სამოციანელებს შემოაქვთ საქართველოში ახალი საზოგადოებრივი და კულტურული ტენდენცია, რომლის განვრცობას, თეორეტიზაციას, დამკვიდრებას და დაცვას თავადვე ახდენენ. ისინი გაცნობიერებულად მოქმედებენ არსებული სოციოკულტურული რეალობის შესაცვლელად და ესთეტიკური პარადიგმის ჩასანაცვლებლად, შემოაქვთ რეალისტურ ესთეტიკაზე, ევროპულ სოციალურ და კულტურულ ღირებულებზე ორიენტირებული სისტემა.

ამავე დროს, სამოციანელთა პარადიგმაც შექმნილია კოლონიური გავლენებისადმი რეზისტრობის მიზნით. ეს პარადიგმა იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ სწორედ მას მიმართეს ქართველმა მწერლებმა XX საუკუნის კოლონიურ ვითარებაში. ქართველ მოდერნისტთა თაობამ, რომელმაც 1910-იანი წლებიდან დაიწყო ახალი მოდერნისტული კულტურული პარადიგმის განვითარება, დასავლური მოდერნისტული კულტურის ათვისება, ორიგინალური მხატვრული და თეორიული ტექსტების პროდუცირება და სოციოკულტურული აქტივობა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თავადვე მოახდინა კულტურული რეორიენტაცია და მიუბრუნდა სამოციანელების სისტემას. ეს კულტურული არჩევანი გააქტიურდა იმ ფონზე, როცა საბჭოურმა სისტემამ ტოტალიტარული/კოლონიური მმართველობის მიზნების რეალიზაცია საბჭოურ იდეოლოგიურ საფუძვლებზე და-

მყარებული კულტურის შექმნით და მასობრივი განვრცობით, შესაბამისი კულტურული პარადიგმის პოლიტიკური მხარდაჭერით და ძალადობრივ-რეპრესიული უზრუნველყოფით დაიწყო.

ამგვარად, საბჭოური ანექსიისა და კოლონიური ვითარების აღდგენის შესაბამისად, აღდგა საქართველოში სამოციანელთა კულტურული, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევარში ამოქმედდა ნაციონალური ნარატივის კულტურის სახით – ამ პერიოდის რეალური დომინანტური კულტურისა, რომლის ფარგლებში შეიქმნა ამ დროის ქართული ლიტერატურის ძირითადი მოცულობა და რომელმაც არა მხოლოდ ელიტარულ, არამედ მასობრივ დონეზეც კი ჩაანაცვლა ოფიციალური საბჭოთა კულტურის პარადიგმა; თუმცა ქართველ მოდერნისტთა გამოცდილება და მათ მიერ დამკვიდრებული პარადიგმაც, თავის მხრივ, იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ სტალინური ეპოქის დასრულებისა და ტოტალიტარული რეჟიმის შერბილებისთანავე, ე. წ. საბჭოური „დათბობის“ შესაბამისად, სწორედ ამ მოდელის მოქმედება განახლდა ქართული ალტერნატიული კულტურის ფარგლებში. ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში ის გაგრძელდა საკმაოდ ნათლად გამოხატული პოსტმოდერნისტული ტენდენციის სახით, რომლის საფუძველზეც ყალიბდება პოსტკოლონიური საქართველოს თანამედროვე კულტურული რეალობა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებისა და კულტურული პერიოდების ცვალებადობის შესაბამისად, ქართულ ლიტერატურაში ეროვნული პრობლემატიკის დამუშავების, კოლონიურ ვითარებაზე რეაგირების და ნაციონალური თემატიკის დამუშავების რამდენიმე ეტაპი შეიძლება გამოიყოს:

საქართველოს კოლონიური მდგომარეობის ფიქსირება, შემოქმედებითი და ინტელექტუალური გამოსახვა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში;

კოლონიურ მდგომარეობასთან ადაპტირება, ახალი საზოგადოებრივი კულტურის შექმნის, თანადროული დასავლური ქვეყნების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ლირებულებების ათვისების მცდელობა; საქართველოს სამომავლო სამოქალაქო, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი მიზნების დასახვა სამოციანელთა შემოქმედებაში;

საქართველოს ხელახალ კოლონიზაციასთან ადაპტირება, საბჭოურ სინამდვილეში ნაციონალური იდენტობის გადარჩენის გზების დასახვა და შემოქმედებითი რეორიენტაცია ქართველ მოდერნისტთა შემოქმედებაში;

პოსტსტალინურ საბჭოურ სინამდვილეში ეროვნულ იდეაზე ორიენტირებული ლიტერატურულ-კულტურული სივრცის ფორმირება და ნაციონალური ნარატივის კულტურის განვითარება;

პოსტსაბჭოურ/პოსტკოლონიურ პერიოდში, ახალ სახელმწიფოებრივ სინამდვილეში ლიტერატურის ფუნქციისა და შესაძლებლობების შემოქმედებითი და ანალიტიკური გამოსახვა, პოსტკოლონიური ცნობიერების დაძლევის პერსპექტივის დასახვა ქართველ მწერალთა სხვადასხვა თაობების მიერ.

კულტურულ კონტექსტთა და დომინანტურ პარადიგმათა ცვლის თვალ-

საზრისით, კოლონიური/ პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ ლიტერატურაში შემდეგი ეტაპების იდენტიფიცირება შეიძლება:

ქართული რომანტიზმის კულტურული ეტაპი, მედიევალურ-ორიენტალური პარადგიმის ჩანაცლება. პირველი პოსტმედიევალური, დასავლური ორიენტაციის სოციალური/კულტურული პარადიგმა ქართულ ლიტერატურაში;

ქართველ სამოციანელთა თაობის მიერ ახალი სოციოკულტურული პარადიგმის განვითარება, დასავლურ კულტურულ რეალობაზე ორიენტაციის კვალდაკვალ დასავლურ საზოგადოებრივ ლირებულებებზე ორიენტაცია;

XX საუკუნის დასაწყისის მოდერნისტული კულტურული პარადიგმა, დასავლურ მოდერნისტულ სივრცეში ინტეგრირების მიზანმიმართულება;

მარქსისტულ მეტანარატივზე დაფუძნებული კულტურული პარადიგმა: (ადრეული ტენდენციები – XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან), საბჭოური პერიოდის ოფიციალური საბჭოთა კულტურულ-იდეოლოგიური პარადიგმა, მისი სტალინურ-ტოტალიტარული და პოსტსტალინური ეტაპები;

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ნაციონალური ნარატივის კულტურა;

დასავლურ კულტურაზე ორიენტირებული პარადიგმის დაბრუნება 1960-იანი წლების ბოლოდან და საბჭოური პერიოდის ალტერნატიული კულტურა;

პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური პერიოდის პოსტმოდერნისტული კულტურული პარადიგმა.

ქართულ ლიტერატურაში და, ზოგადად, მთელ კულტურულ და სოციოკულტურულ სივრცეში მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან გამოვლენილი პარადიგმული მნიშვნელობის ცვლილებებიდან მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე ინარჩუნებს აქტუალობას ისეთი ტენდენციები, როგორიცაა დასავლურ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცესთან სინქრონიზაციის მიზანდასახულება და ანტიკოლონიური მიზანდასახულება.³ ამავე დროს, აღმოსავლური კულტურული პარადიგმის ჩანაცვლება დასავლური პარადიგმით ურთიერთდაკავშირებულია კიდევ ერთ პარადიგმულ ცვლასთან: მედიევალური კულტურული პარადიგმა იცვლება მოდერნულით.

დასავლური კულტურული სტილის სამოდელო, პარადიგმული როლი საქართველოში ამოქმედდა რომანტიკოსების თაობის შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი ინტერესების სივრცეში. საქართველოში რომანტიზმამდელი/კოლონიამდელი პერიოდის, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურულ-კულტურულ პროცესი განსაზღვრულია, როგორც აღორძინება, რაც გულისხმობას, უწინარესად, შუა საუკუნეების ქართული კულტურულ-ესთეტიკური ტრადიციისა და ლირებულებების აღორძინებას. ნიშანდობლივია, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რომანტიზმის კულტურული ტენდენცია ორი ძირითადი ნიშნით ხდება ადგილად ადაპტი-

რეგბადი ქართულ სივრცეში: ნაციონალური იდეის აქტუალობით, რაც, თავისთავად, ახალმა კოლონიურმა ვითარებამ განაპირობა, და შუა საუკუნეების მსოფლგანცდასთან სიახლოვით.⁴ ითვლება, რომ რომანტიზმმა აღადგინა ადამიანის თვითგანსაზღვრის ქრისტიანული მატრიცა, რომელიც დასავლურ კულტურაში ჩანაცვლებული იყო განმანათლებლური მატრიცით, თუმცა, რამდენადაც საჭართველოს რომანტიზმამდე არ მიუღია განმანათლებლის დასავლური მეტანარატივი ან არ განვითარებია მისი იდეების ანალოგი, ცხადია, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურაში ვერ იქმნებოდა ბოლომდე გაცნობიერებული ამ ნარატივთან დაბირისპირების იდეა. პიროვნული ინდივიდუალიზმის, სუბიექტივიზმის, ადამიანის ახალი კონცეფციის რომანტიზმისეული პოზიციის გაცნობიერება, თავისთავად საჭირო ქართულ კულტურულ გარემოში, თანადროულ დასავლურ კონტექსტში მოაქცევს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ახალ ლიტერატურულ პარადიგმას.

ქართულ ლიტერატურაში რომანტიკოსთა თაობის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ნაციონალიზმის იდეის დეკლარირება და პოზიციონირება ლიტერატურის/კულტურის სივრცეში. ეს პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული რუსეთის მიერ საჭართველოს კოლონიზაციასთან. საჭართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვა აქ ცალსახად წევატიურ მოვლენად არის შეფასებული და ძალზე მძიმე ემოციურ ფონზე გამოისახება. ქართველმა რომანტიკოსებმა საჭართველოს რუსეთისადმი დაქვემდებარება აღბეჭდეს, როგორც ისტორიული ტრავმა და მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე განსაზღვრეს ქართული ლიტერატურის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი, ისევე როგორც შესაბამისი მისწრაფება განთავისუფლებისადმი. ამით ქართულ ლიტერატურაში შეიქმნა საჭართველოს კოლონიზაციის პრობლემაზე რეაგირების, ამ მოვლენასთან სულიერი, ცნობიერი, შემოქმედებითი წინააღმდეგობის ტრადიცია. ამასთანავე, მდგომარეობის ემოციური შეფასება, რაც, თავისთავად, დასავლური რომანტიზმის მსოფლგანცდის ერთ-ერთი მახასიათებელია, ამ ეტაპზე კულტურის მიერ ისტორიულ რეალობაზე რეაგირების ერთადერთი ფორმაა. ნიშანდობლივია, რომ მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზეც ქართულ კულტურულ და სოციოკულტურულ გარემოში ნაციონალურ ვითარებასთან ემოციური მიმართება იქნება დომინანტური ტენდენცია, მიუხედავად სამოციანელთა მცდელობისა, დაემკვიდრებინათ ნაციონალური/კოლონიური სიტუაციისადმი დამოკიდებულების რაციონალიზაციის ტენდენცია. კოლონიზაციის საზოგადოებრივი და კულტურული შედეგების შეფასება ქართველ რომანტიკოსთა ლირიკულ ტექსტებში თითქოს არ ჩანს, თუმცა ნათლად იყიდება, რომ საფრთხე ნაციონალურ სოლიდარობაზე დაფუძნებულ სივრცეს ემუქრება. ამ პერიოდის ნაციონალური და კულტურული საქმიანობა, შეცვლილი ვითარების გააზრება, ნაციონალური იდენტიფიკაცია თავადურ წრეებში მიმდინარეობს. მისი გავრცელების ფორმები სალონები, პირადი წერილები თუ ალბომები არ ითვალისწინებს

ფართო საზოგადოებრივ გარემოზე ორიენტაციას. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა ელიტარულია, ამ სიტყვის ლიტერატურათმცოდნეობითი და პირდაპირი მნიშვნელობით. ამავე პერიოდში იკიდებს ფეხს არასუვერენული გარემოსათვის დამახასიათებელი სოციოკულტურული სიტუაცია (საზოგადოების როგორც ერთიანი სოციუმის ყოფიერი, ღირებულებითი, კულტურული მოთხოვნებისა და განწყობების ურთიერთქმედება, წინააღმდეგობა და მთლიანობა), როცა ინდივიდთა ის ნაწილი, რომელიც საზოგადოებრივ აზრს ქმნის, მსოფლმხედველობრივად და ემოციურად ეწინააღმდეგება კოლონიზაციას, მაგრამ ამავე დროს იღებს კოლონიზატორების მიერ დამუარებულ სახელმწიფოებრივ წესრიგს, პრივილეგიების მოპოვების ფორმებს და მოქმედებს მათ შესაბამისად. ყალიბდება კოლონიზებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ამბიგალენტურობა, რაც, ჰომი ბჟაბჲას თეორიის მიხედვით, გულისხმობს კოლონიზატორის მიმართ, ერთი მხრივ, რეზისტენტულ, მეორე მხრივ კი მორჩილ დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, სიმპათიას, მეორე მხრივ კი, ანტიპათიას. ქართულ სინამდვილეში ამგვარი ამბიგალენტურობა დამყარდა უკვე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ და კულტურულ ელიტაში. ლიტერატურულ-კულტურული თვალსაზრისით პოეტთა ამ თაობამ საქართველოში დაამკიდრა მნიშვნელოვანი მხატვრული ტენდენციები: ლიტერატურული რეაქცია ნაციონალურ და სოციალურ საკითხებზე; პიროვნების შემოქმედებითი და საზოგადოებრივი როლების ურთიერთდაკავშირება; ლიტერატურული ფორმების ძიება; ორიგინალური და მთარგმნელობითი საქმიანობის გზით ევროპულ და, ბუნებრივია, რუსულ კულტურულ პროცესებთან დაკავშირება და საქართველოს ევროპული კულტურული არჩევანის დაფიქსირება. რომანტიკოსებმა რეალურად შექმნეს საქართველოში თანამედროვე ტიპის ლირიკული პოეზია, რაც, იმ დროიდან მოყოლებული, ქართული კულტურის ერთ-ერთ ცველაზე მძლავრი კომპონენტია, თუმცა ნიშანდობლივია, რომ ამ ტექსტების, უფრო ზოგადად კი, ამ ტენდენციის მნიშვნელობა სცდება ესთეტიკის საზღვრებს. ქართულ სინამდვილეში სწორედ რომანტიკოსთა პოეზია ის სივრცე, საიდანაც დაიწყო დასავლური რომანტიზმიდან მიმდინარე, მოდერნული ეპოქის უმნიშვნელოვანების ხედის, ნაციონალიზმის, საკუთრივ კი – კულტურული ნაციონალიზმის კულტივირება, რომელმაც იმუშავა მთელი კოლონიური პერიოდის ქართულ სინამდვილეში. შეიძლება ითქვას, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე კოლონიზებულ საქართველოშიც ამოქმედდა ევროპული რომანტიზმის მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელმაც რეალურად განსაზღვრა თანადროულ დასავლურ სამყაროში ნაციონალიზმის იდეებისა და თანამედროვე ნაციათა თვითგანსაზღვრის პროცესი. გერმანული და ინგლისური რომანტიზმის წილში განვითარებული კულტურული ნაციონალიზმი ეფუძნება ერის კულტურული განსხვავებულობისა და თვითდეტერმინაციის იდეებს⁶, რაც თავისთავად წარმოშობს და მხარს უჭერს კულტურული ნაციის მისწრაფებას ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო.⁷ საგულისხმოა ისიც,

რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათწლეულებში, კოლონიზაციის პირველ ეტაპზე, სწორედ რომანტიკოსთა თაობაში გამოიკვეთა, რომ ქართველთა სახელმწიფო ორიობის იდეა მომავალში არა მონარქიის აღდგენას, არამედ რესპუბლიკის შექმნას დაუკავშირდებოდა⁸, რაც, კვლავ და კვლავ, მომავლის აღმის გზას დასავლურ სამყაროსთან და უშუალოდ ევროპელ რომანტიკოსთა წარმოდგენებთან აკავშირებს. ევროპული მოწყობის სახელმწიფოს და საზოგადოების შექმნის იდეა განმტკიცდება და ცალსახა არჩევანი გახდება სამოცავების და, საკუთრივ, ილია ჭავჭავაძის ნააზრევში. მართალია, რომანტიკოსებიდან მოყოლებული, ქართველ მეფეთა სახეები, მათი სულიერი დიდებულება და საბრძოლო ძლევამოსილება ერთ-ერთი სამოდელო, ნაციონალური წარმოსახვის გამამთლიანებელი თემა ხდება კოლონიური პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, ოღონდ ეს აღარ დაუკავშირდება ქვეყნის მონარქიული მოწყობის, მედიევალური კონტექსტის აღდგენის სურვილს და სამომავლო ხედვა ევროპის სოციოპოლიტიკური განვითარების ტენდენციის შესაბამისი იქნება. ევროპის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოწყობის მიმართულება, როგორც საქართველოს მომავლის ერთადერთი შესაძლო პერსპექტივა, ნათლად იქნება გამოხატული სამოცაველთა პუბლიცისტიკაში⁹. კოლონიური/პოსტკოლონიური პერიოდის საქართველოში ამ მიმართულებას მხარდაჭერა ექნება დასავლური კულტურული სივრცისაკენ მიმართული ყველა ლიტერატურულ-კულტურული დისკურსისა და შესაბამისი ლიტერატურული წრეებისა.

ქართული ლიტერატურის ორიენტაცია დასავლურ კულტურულ სივრცეზე და ლიტერატურულ, მსოფლმხედველობრივ, რეპრეზენტაციულ ტენდენციებზე ქართველ რომანტიკოსთა თაობის მიერ შემოტანილი და, ცხადია, მსოფლიოს კულტურულ-პოლიტიკური პროცესებით განპირობებული ერთ-ერთი ძრავა ტენდენციაა. რომანტიკოსებისა და რეალისტების (სამოცაველების) თაობების შემდეგ ამ ინტერესს მკვეთრს და დეკლარირებულს გახდის ქართველ მოდერნისტთა თაობა. ტენდენცია შეფარულად იმოქმედებს იმ პირობებშიც, როცა საბჭოურ-იმპერიული ცენტრის კონტროლი საქართველოს როგორც პერიფერიის კულტურულ პროცესზე დასავლურ კულტურულ სივრცესთან კომუნიკირებს შექმნის.

ახალი ტენდენციები, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან იმძლავრებას, მიემართება ეპოქალური სოციალური, პოლიტიკური, კულტურული ცვლილებების მთელ სპექტრს. ლიტერატურული ფიგურები და ლიტერატურული ტექსტები არათუ აღბეჭდავენ, არამედ რეალურ მიმართულებას აძლევენ საქართველოში მოდერნული ეპოქის დაგომის, ევროპული კულტურული სივრცისადმი ორიენტაციის, ნაციონალური თვითიდენტიფიკაციის პროცესებს. ამავე დროს, მთელი ორსაუკუნოვანი პერიოდის მანძილზე ყველა კულტურული თუ სოციალური პროცესი დაკავშირებული იქნება კოლონიურ ვითარებასთან. ეს კავშირი განსაზღვრავს ქართული ლიტერატურის, ერთი მხრივ, იმპერიული გავლენებისადმი რეზისტენტულ, მეორე მხრივ კი – მორჩილ, ამბიგალენტურ ბუნებას.

შენიშვნები

- 1 მას შემდეგ, რაც 1721 წლიდან რუსეთის სამეფო ოფიციალურად იძენს იმპერიის სტატუსს, მისი როგორც იმპერიის და მის მიერ მიერთებული ნაციონალური ტერიტორიების, როგორც კოლონიების თანარსებობა კოლონიზაციის ტრადიციული ნიშნებითა და ტერმინებით აღიწერება. მეოცე საუკუნეში, საბჭოურ იფიციალურ ენაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, ცხადია, კოლონიური სტატუსით არ იხსენიებოდნენ. დღეს ფორმალურ/სამეცნიერო ენაშიც მიღებულია, რომ ეს სახელმწიფო განიხილებოდეს რუსეთის იმპერიის მემკვიდრეოდ და სადაც არ არის არც საბჭოთა კავშირში რუსეთის დომინირების საკითხი, რაც დანარჩენი ქვეყნების/ერების კოლონიურ სტატუსს შეესაბამება. საბჭოთა პერიოდშიც საქართველოს მდგომარეობა ხასიათდებოდა კოლონიზაციული ქვეყნის უველა ნიშნით – მას არ ჰქონდა სუვერენული სახელმწიფო მართვის სისტემა, საკუთარი სახელმწიფო საზღვრები და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვის უფლება, ჯარი, ფული, ეკონომიკა, მიდელიორებული იურ ცენტრიდან, ანგარიშვალდებული იურ ცენტრის წინაშე და კონტროლდებოდა მის მიერ. საქართველოს სახელისუფლებო, სამეცნიერო და მედიის ენაში დღეს მიღებულია, რომ მეცნიერებულების საუკუნეებში რუსეთის იმპერიისა და, შემდგომ, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ქვეყნის უოფნა განიხილებოდეს, როგორც რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაციის ერთიანი ორასწლოვანი პროცესი. ქართული ისტორიულ ნაშრომებში რუსული კოლონიალიზმი სწორედ ორსაუკუნოვან ქრონოლოგიურ ჩარჩოშია წარმოდგენილი (იხ. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში / ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე და სხვ.; [რედ. მაჟვალა ნათმელაძე]. თბილისი: უნივერსალი, 2008; საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები / [რედ. ა. დაუშვილი (წინასიტეპ. ავტ.)]. თბილისი: უნივერსალი, 2007; საქართველო რუსული იმპერიალიზმის სამიზნე / როლანდ ჯალაძია, დავით ქობალია, ნუგზარ გოგუა. – თბ., 2008). მიუხედავად ამისა, სოციალურ თუ აკადემიური სივრცეში საქართველოს როგორც კოლონიის მოხსენიება კერაც იწვევს გარკვეულ დისკომფორტს როგორც ქართველ, ასევე რუს მსმენელთა შორის. ქართველებისათვის ტერმინი უმეტესად ნაციონალური ლირსების შემლახველ კონოტაციას მოიცავს. როგორც ქართული, ასევე რუსული ფოკუსიდან კოლონიური სტატუსის განხილვის საწინააღმდეგო არგუმენტები უკავშირდება ხოლმე საქართველოს ერთგვარ პრიორიტეტულ მდგომარეობას საბჭოთა კავშირში. ეს, ცხადია, ილუზორული მოვლენა იყო და აღიქმებოდა მხოლოდ ქართველთა სოციალური თვითგანცდის დონეზე, რუსეთის მხრივ კი ეს იღუზია მხარდაჭერილი იყო ნაციონალური დისკურსების ფორმალური წახალისების გზით. კიდევ ერთი არგუმენტი უკავშირდება ქართული ეთნიკური წარმოშობის ლიდერის

- შემდგრომის საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში, რაც, თითქოსდა, არ შეესაბამება იმპერიისა და კოლონიის ურთიერთობის ლოგიკას, თუმცა შეესაბამება მსოფლიო ისტორიის პრეცედენტებს.
- 2 პოსტკოლონიალიზმის ფუნდამენტური პრინციპების ჩამოყალიბების შემდგომ (*Edward Said, Orientalism (1978), and Culture and Imperialism (1993); Homi Bhabha, The Location of Culture (1994); Gayatri Spivak, A critique of Postcolonial Reason: Towards a History of the Vanishing Present (1999)* და სხვა), რაც, უწინარესად, ინდოეთისა და აფრიკის ქვეყნების დეკოლონიზაციის პროცესს დაუკავშირდა, ამ თეორიის გამოყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონების მიმართ დაიწყო (*Deklan Ciberd, Inventing Ireland (1995); Walter Mignolo, The Idea of Latin America (2005); Djelal Kadir, The Other Writing: Postcolonial Essays in Latin America's Writing Culture (1993); Anthony Soares, Towards a Portuguese Postcolonialism (2006)* და სხვა). პოსტკოლონიალიზმს უკვე იშველიერებ უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების კულტურული თუ პოლიტიკური რეალობის კვლევისას (იხ. *Baltic Postcolonialism. ed. Violeta Kelertas, Amsterdam/New York, NY, 2006*), ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტების სლავისტიკისა და სოვეტოლოგიის ცენტრებში კი პოსტკოლონიური თეორიები რუსეთის საკითხების შესწავლისას გამოიყენება. გაიატრი სპივაკი, კომპარატივისტიკისა და პოსტკოლონიალიზმის აღიარებული მკვლევარი, შედარებითი ლიტერატურის ერთ-ერთ სადღეისო ამოცანად განიხილავს პოსტსაბჭოთა ლიტერატურების შესწავლას პოსტკოლონიალიზმის საფუძველზე (იხ. *Gayatri Chakravorty Spivak, Death of a Discipline, New York: Columbia University Press, 2003*).
- 3 პირველივე სისტემური ხასიათის ნაშრომში, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის შეფასებას ისახავს მიზნად, კიტა აბაშიძის „ეტიუდებში“, სწორედ ეს ორი ტენდენციაა გამოკვეთილი. კიტა აბაშიძე ამკვიდრებს ქართული სალიტერატურო პროცესის განხილვის ტრადიციას ევროპული ლიტერატურული სკოლების განვითარების მოდელის შესაბამისად. საქართველოში რომანტიზმის, რეალიზმის, ნეორომანტიზმის, სიმბოლიზმის ლიტერატურული ტენდენციების იდენტიფიცირებით მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა ევროპული ლიტერატურული პროცესის ორგანულ ნაწილად ცხადდება: „თუ დაუკვირდებით ჩვენის ლიტერატურის მსგლელობას, ნახავთ, რომ იგი კვალდაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას: იქაც საუკუნე რომანტიზმით დაიწყო, საუკუნის ნახევარში რეალიზმი გამეფდა, რომელიც 1870-იან წლებში ნატურალიზმად გადაგვარდა; ხოლო საუკუნის დამლევს გამეფდა ნეორომანტიზმი და სიმბოლიზმი. ეს ფაქტი გვიმტკიცებს მეორე ლიტერატურულ კანონს, რომელიც გვამცონ იმავე ბრიუნეტიერმა ერთ-ერთ თავის წერილში: არსებობს საერთო „ევროპის ლიტერატურა“, ამ ლიტერატურის ესა თუ ის საერთო მიმართულება, ხოლო სხვადასხვა ერის, ქვეყნის ლიტერატურა ამ საერთო ლიტერატურის და მისი საერთო მიმართულების კერძო, თავისებური გამომსახველია. ამა თუ იმ ხანაში ერთი და

- იგივე სტილი, ერთი და იგივე იდეალი ასულდებოდებს მთლად მთელის ეპ-როპის ლიტერატურას და, კერძოდ, ამ ევროპის ლიტერატურის შემადგენელ წევრებსაც". ქართულ ლიტერატურისმცოდნებაში გაზიარებულია შეხედულება რომანტიზმისა და რეალიზმის ესთეტიკის არსებობაზე მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, მაშინ როცა აზრი ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობაზე მაღლევე იქნა გადაფასებული ახლად გამოჩენილი ქართველი სიმბოლისტების მიერ. კიტა აბაშიძის პოზიცია მნიშვნელოვანია ქართული სალიტერატურო პროცესის კონტექსტუალიზაციის თვალსაზრისით. ამავე დროს, კიტა აბაშიძე იძლევა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ნაციონალური ფუნქციის შეფასებას უწინარესად კოლონიური ვითარების ფონზე: „საქართველოსათვის მეცხრამეტე საუკუნე შავითა და ბნელით არის მოცული. საქართველო, როგორც პოლიტიკური არსება, მოისპო მეცხრამეტე საუკუნის პირველსაც წელიწადში. მეცხრამეტე საუკუნიდან ქართველ ერს თავისი სრული ცხოვრება აღარა ჰქონია, იგი ცხოვრობდა სიტყვით სხვის „მფარგელობის“ ჭვეშე, ხოლო საქმით სხვის მონობას განიცდიდა. [...] ამგარად, ქართველი ერი წასულის ასი წლის განმავლობაში სცხოვრობდა არა სავსებით, არამედ ვაი-ვაგლახით მიჩანჩალებდა. მთელი მისი მოქმედება, აზრი, ფიქრი, მისწრაფება მარტო ერთ რამეში გამოიხატებოდა ლიტერატურაში და ისიც ლიტერატურის ერთ დარგში სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებანი მოხდა გარეშე ჩვენის მონაწილეობისა და გავლენისა, თითქმის არც ერთი ამ ცვლილებათაგანი ჩვენ ახლოსაც არ გაგვარებია (საერობო თვითმართველობის და ნაფიცთა მსაჯულის იწსტიტუტი, შეღავათიანი ცენტურა და სხვ.). მეცნიერულისა და ფილოსოფიურის მსვლელობისაც კი სრულიად გარეშე მაჟურებლად დავრჩით: სასულიერო და საერო აკადემიები და უნივერსიტეტები – ეს მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნავთსადგურნი, სხვა და სხვა გვარი უმაღლესი სკოლები ჩვენ თვალითაც არ დაგვანახეს. სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენს ხელად არ არის და ჩვენს გავლენას სავსებით აცილებულია. სიტყვა-კაზმული მწერლობა შეიქმნა ერთადერთი მხარე ცხოვრებისა, რომელიც ამ ცხოვრების ვითარების უტკუარი, ხელოვნური გამომხატველი იყო".
- 4 ჰაინრიხ ჰაინრედან მოყოლებული, მიჩეულია, რომ რომანტიზმის არსებულაზე უკეთ ის გამოხატავს, რომ აქ ხელახლა იშვა შუა საუკუნეების ლიტერატურა და მსოფლიონცდა (იხ. Garold N. Davis, *Medievalism in the Romantic: Some Early Contributors The Bulletin of the Rocky Mountain Modern Language Association*, Vol. 28, No. 1 (Mar., 1974), გვ. 34-39).
- 5 ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაშია აღმეცდილი ცალსახა შეფასებები კოლონიზაციისა. ნიშანდობლივია, რომ იმპერიული სინამდვილისადმი მიმართული ეს ტექსტები არ ცენტურირდებოდა საბჭოთა პერიოდში ამდენად, აქ გამოხატული პოზიცია დამკვიდრებული იყო ქართველთა ნაციონალურ თვითგანცდაში და, სასკოლო განათლების წყალობით, დროთა განმავ-

- ლობაში საყოველთაო ხდებოდა: „ვჭმუნავთ ბედ-მწირნი, / გვხვევიან ჭირნი,
 / ფოთოლთ უხშირნი.../ შებრუვილულს გულსა/ ცრემლით ვბანთ წყლულსა.
 / ესრეთ მორწეულსა. (ალექსანდრე ჭავჭავაძე, „ოჲ, ვით გვემტყუნვა“); „წე-
 ულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ, კრულნი! / გვძლივა სოფელ-
 მან ხელმყოფელმან, აწ გვაგო შურნი. (ალექსანდრე ჭავჭავაძე, „ისმინეთ,
 მსმენნო“); „თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რალა გვახარებს! / შორით მო-
 სული ჩვენს მამულში მყვედრის ცხოვრებას, / მოყვრულად გვმტერობს,
 გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას... / ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა
 მონებას. (გრიგოლ ორბელიანი, (***) „ჱე, ივერიაგ“) და სხვა.
- 6 David Aram Kaiser, *Romanticism, Aesthetics, and Nationalism*, Cambridge: Cambridge University Press, 1999, გვ. 19.
- 7 გრიგოლ ორბელიანის „სადლეგრძელო“, თუ ამჯერად გვერდს ავუვლით
 კოლონიზატორი ქვეყნის იმპერატორისადმი მიძღვნილ, მართლაც ამბივა-
 ლენტური ვითარების ამსახველ ფრაგმენტს პოემისა, ქართველთა თვითგან-
 საზღვრის თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექსტია. გრიგოლ
 ორბელიანმა ლიტერატურულ ტექსტში თანმიმდევრულად, გაცნობიერე-
 ბულად მოუყარა თავი არა მხოლოდ პიროვნულ იდეალებს და საზოგადო
 მორალურ ლირებულებებს, არამედ ეროვნული წარმოსახვის გამამთლიანე-
 ბელ ინფორმაციას და პერსონალიებს. ამით მან აღწერა ქართული იდენ-
 ტობის ჩამოყალიბების ისტორია, ქართველ ისტორიულ გმირთა პანთეონი,
 რომელიც ამ სახით აღიბეჭდა კიდეც ქართველთა კოლექტიურ ცნობიერე-
 ბაში და თანამედროვე ქართულ კულტურაში. რამდენადაც ისტორიული
 პირველსახეების, არქეტიპული გმირების ხსოვნა ნაციონალური იდენტობის
 ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, გრიგოლ ორბელიანის ამ ტექსტმა,
 რომანტიკოსთა თაობის სხვა ტექსტებთან ერთად, თავისი როლი შეასრულა
 წარსულის მემკვიდრეობისადმი ქართველთა დამოკიდებულების ჩამოყალი-
 ბებაში, თანამედროვე ქართული ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში,
 კოლონიზაციული ერის კულტურულ მეხსიერებაში საქართველოს სახელმწი-
 ფოს განგრძობითი არსებობის ხსოვნის ფიქსირებაში.
- 8 მიჩნეულია, რომ სოლომონ დოდაშვილის მიერ შემოთავაზებული ეს ხედვა
 მომავლისა აღიბეჭდება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, მის პო-
 ემაში „ბედი ქართლისა“ (გურამ ასათიანი, ქართული პოეტური აზროვნების
 ევოლუცია XIX საუკუნეში, თხზულებანი 4 ტომად. ტ. 2. თბილისი: ნეოსტუ-
 დია. გვ. 205). ბარათაშვილის არანაკლებ ნიშანდობლივი ტექსტია მისი ლექსი
 „ნაპოლეონ“, რომელიც პირდაპირ მიგვითითებს ევროპული რომანტიზმის
 იდეებით, ნაციონალიზმითა და რესპუბლიკანიზმით გატაცებაზე, რამდენა-
 დაც ამ იდეებთან მიმართებაში სწორედ ნაპოლეონის ფიგურა იწვევდა გან-
 საკუთრებულ შთაგონებას და, მეორე მხრივ, მოგვიანებით, წინააღმდეგო-
 ბრივ დამოკიდებულებას ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ რომანტიზმში.
- 9 ილია ჭავჭავაძე წერილში „აზია წინათ და ახლა“ (1889) განვითარების და-

სავლური მოდელთან აღმოსავლური ქვეყნების მიერთების აბსოლუტურ საჭიროებას აჩვენებს. ცხადად იგულისხმება, რომ ევროპისა და აზიის კონტრასტულ სივრცეთა შორის მწერალი საქართველოს პერსპექტივას მხოლოდ ევროპულ კონტექსტში ხედავს. ევროპის განვითარების ლოგიკას ილია მსოფლიოს ზოგად ტენდენციად, საერთო პროექციად წარმოაჩენს, რომლის მიმართაც პროგრესზე მიმართული ქვეყნის ერთადერთი არჩევანი მხოლოდ ამ პროცესში ჩართვა შეიძლება იყოს. ევროპულ კონტექსტზე ორიენტაცია, ნაცვლად რუსეთის იმპერიის დახშულ სივრცეში დარჩენისა, ილიას მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების გამჭოლი იდეაა.